ფოთლის საშუალო სიგანე - 8.5 სმ;
ფოთლის ტექსტურა (ორივე ზედაპირი) - ზომიერად რბილი;
ფოთლის ბუსუსიანობა - საშუალო;
ფოთლის გაყოფა - სამი ფოთოლაკი;
ფოთლების განლაგება - ბაზალური;
ფოთლის მიმაგრება - ყუნწიანი;
ბოლო ფოთოლაკის საშუალო სიგრძე - 11 სმ;
ბოლო ფოთოლაკის საშუალო სიგანე - 8.5 სმ;
ბოლო ფოთოლაკის ბუსუსიანობის სიხშირე - საშუალო;
ბოლო ფოთოლაკის ტექსტურა (ორივე ზედაპირი) - ზომიერად რბილი;
ფოთოლაკის ფორმა - ფართო კვერცხისებრიდან მომრგვალო ფორმამდე;
ფოთოლაკის კიდეები - დაკბილული, ოდნავ წაწვეტებული ან ოდნავ მომრგვალებუ-
ლი;
ფოთოლაკის ფუძე - ასიმეტრიულად წაკვეთილი და მომრგვალებული;
ფოთოლაკის წვერი - მრგვალი;
ფოთოლაკის დამარღვა - ფრთისებრი, შეფერილობა შეესაბამება ფოთოლაკის ფერს;
ფოთოლაკის ფერი - ზედა ზედაპირი მწვანე ჯგუფი (138) ზომიერად მოყვითალო
მწვანე (A), ქვედა ზედაპირი მწვანე ჯგუფი (138) ზომიერად ყვითელ-მწვანე (C), სიჭ-
რელე არ არის არც ერთ ზედაპირზე.

ყუნწი:

ყუნწი - მომრგვალო ფორმის, ძლიერი;
საშუალო სიგრძე - 18 სმ;
საშუალო დიამეტრი - 4 მმ;
ბუსუსიანობა - სუსტი ან საშუალო;
ბუსუსიანობის სიხშირე - ზომიერი;
ბეწვების პოზა - ოდნავ გამლილი;
ტექსტურა - ზომიერად რბილი;

ანთოციანინი - არ არის;
ფერი - ყვითელ-მწვანე ჯგუფი (145) ბაცი ყვითელ-მწვანე (B).

ფოთოლაკის ყუნწი:

ფოთოლაკის ყუნწი - მრგვალი ფორმის;
საშუალო სიგრძე - ბოლო ფოთოლაკები 10 მმ, გვერდითი ფოთოლაკები 5 მმ;
საშუალო დიამეტრი - 2 მმ;
ფერი - ყვითელ-მწვანე ჯგუფი (145) ბაცი ყვითელ-მწვანე (B).

თანაფოთოლი:

საშუალო სიგრძე - 25 მმ;
საშუალო სიგანე - 12 მმ;
ფერი - ყვითელ-მწვანე ჯგუფი (144) ბაცი ყვითელ-მწვანე (D).

ყვავილის აღწერილობა:

საშუალო ზომა (დიამეტრი) - 41 მმ;
ყვავილების საშუალო რაოდენობა - 3 - 6 ყვავილი მტევანზე;
თანაყვავილედ - მტევანი;
ყვავილის ჩასახვისა და ყვავილობის პირობები - დამოკიდებულია ტემპერატურაზე და დღის სინათლის ხანგრძლივობაზე;
ყვავილობის დრო (მცენარეების 50% უჩნდება პირველი ყვავილები) - ადრეული და შუა სეზონი;
ყვავილოვანი სურნელი - უმნიშვნელო.

ჯამის ფოთოლი:

საშუალო სიგრძე - 15 მმ;
საშუალო დიამეტრი - 8.7 მმ;
ტექსტურა (ორივე ზედაპირი) - ნაწილობრივ რბილი;
ფერი - მწვანე ჯგუფი (137) ზომიერად ყვითელ-მწვანე (C);
ჯამის ფოთლების პოზიცია - შერეული განლაგება ნაყოფთან მიმართებაში.

გვირგვინის ფურცლები:

გვირგვინის ფურცლები - მრგვალი ფორმის, ბლაგვი ძირით და წვერით, ოდნავ ურთიერთგადამფარავი, კიდემთლიანი;
საშუალო რაოდენობა - 5;
საშუალო სიგრძე - 10 მმ;
საშუალო სიგანე - 10.5 მმ;
ტექსტურა - რბილი;
ფერი - თეთრი ჯგუფი (NN155) თეთრი (D).

ღერაკი:

ღერაკი - ძლიერი;
საშუალო სიგრძე - 35 სმ - 45 სმ;

საშუალო დიამეტრი - 4 მმ;
ფერი - ყვითელ-მწვანე ჯგუფი (145) ბაცი ყვითელ-მწვანე (B).

საყვავილე ყუნწი:

საყვავილე ყუნწი - ძლიერი;
საშუალო სიგრძე - 7 სმ - 10 სმ;
საშუალო დიამეტრი - 2 მმ;
ფერი - ყვითელ-მწვანე ჯგუფი (145) ბაცი ყვითელ-მწვანე (B);
ბუტკო - საშუალოდ 145, საშუალო სიგრძე 1.1 მმ, ყვითელ-მწვანე ჯგუფი (151), მკვე-
თრად თალისებრი, ყვითელ-მწვანე ჯგუფი (151) ინტენსიური მომწვანო ყვითელი (C);
დინგის ფერი - ყვითელ-მწვანე ჯგუფი (151) ინტენსიური მომწვანო ყვითელი (C);
სვეტის ფერი - ყვითელ-მწვანე ჯგუფი (151) ინტენსიური მომწვანო ყვითელი (C);
მტვირიანების საშუალო სიგრძე - 1.5 მმ;
მტვირიანები - საშუალოდ 26, ყვითელ-მწვანე ჯგუფი (151). ინტენსიური მომწვანო
ყვითელი ფერი (B), მტვირის რაოდენობა ზომიერია, ხოლო ფერი კაშკაშა მომწვანო
ყვითელი 2A;
თანაყვავილი - შეიმჩნევა ყვავილის უმეტეს მტევნებზე, განვითარების ადრეული
სტადიიდან, რომელიც ყვავილედის მომწიფებასთან ერთად, გარდაიქმნება ტიპურ
ერთეულ ფოთოლაკში, ფოთოლაკისთვის დამახასიათებელი ნიშნებით.

ნაყოფის აღწერილობა:

ფორმა - ნაყოფი ძირითადად კონუსური ან გულისებრია, ფართო მხრებით, ფორმა
ერთნაირია პირველადი, მეორადი და მესამეული ნაყოფისთვის;
მოსავლის აღების სეზონი - იანვრიდან მაისამდე უელვაში, ესპანეთი;
მომწიფების ვადა (მცენარეების 50% პირველი მომწიფებული ნაყოფით) - ადრეული;
ნაყოფიანობის პერიოდი - მოკლე დღე, ხმელთაშუაზღვისპირეთი;
ნაყოფის საშუალო სიგრძე - 5 სმ - 7 სმ;
ნაყოფის საშუალო სიგანე - 3 სმ - 5 სმ;
პირველადი ნაყოფის მასა - 35 გ - 50გ;
მეორადი და მესამეული ნაყოფის მასა - 15 გ - 35 გ;
ნაყოფის ღრუ - მცირე ან საშუალო (4 მმ × 20 მმ);
ზედაპირი - გლუვი და პრიალა;
სიპრიალე - თანაბარი და მეტად მაღალი;
გარეგანი ფერი (კანი) - წითელი ჯგუფი, კაშკაშა წითელი (A), ფერი შენარჩუნებულია
მოსავლის აღების მთელი პერიოდის განმავლობაში და კარგად იტანს მაღალ სეზო-
ნურ ტემპერატურებს;
შინაგანი ფერი - წითელი ჯგუფი (40) კაშკაშა მოწითალო ნარინჯისფერი (A);
ერთგვაროვნად შეფერილი კანი - თანაბრად;
მჟავიანობა - დაბალი;
სიტკბო - მაღალი, ბრიქსის სკალის მიხედვით, 8.1;
სიმკვრივე - კანი მტკიცეა (მდგრადია დაზიანების მიმართ), რბილობი ზომიერად მა-
გარია, 371 ინფილტრომეტრის მიხედვით;

წვნიანობა - ზომიერი;

არომატი - მაღალი;

მოსავლიანობა - საშუალოდ 715, 21 ნაყოფი მცენარიდან;

ვარგისიანობის ვადა - საშუალოდ 8 - 10 დღე;

თესლურა - ნარინჯისფერ-წითელი ჯგუფი (31) ინტენსიური მოყვითალო ვარდისფერი (C) ჩრდილოვან მხარეს, ნარინჯისფერ-წითელი ჯგუფი (31) ინტენსიური მოწითალო ნარინჯისფერი (B) მზიან მხარეს;

თესლურას რაოდენობა - საშუალოდ 250 ნაყოფზე;

თესლურები - ზედაპირის ქვეშ.

მდგრადობა დაავადებების და მავნებლების მიმართ


ჯიში „A13-26“ მგრძნობიარეა ბუგრის მიმართ, რომელთა შორის გვხვდება *Aphis gossypii*. ჯიში „A13-26“ არ შეიცავს *Botrytis cinerea*-ს მაღალ რაოდენობას. მეორე მხრივ აუცილებელია სოკოს ნაცრის (*Podosphaera aphanis*) წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც იწვევს ნაცრის დაავადებას.

ფორმულა:

1. ახალი და განსხვავებული მარწყვის მცენარე, აქ ნაჩვენებია და აღწერილის შესაბამისად.



გამოსახულება 1



გამოსახულება 2



გამოსახულება 3



გამოსახულება 4

| | |
|----------------------------------|---------------|
| ჯიშის კატეგორია: | მცენარე |
| რეგისტრაციის ნომერი: | P 2024 251 B |
| მეორე გამოქვეყნების თარიღი: | 2024 04 19 №2 |
| რეგისტრაციის თარიღი: | 2024 02 20 |
| განაცხადის გამოქვეყნების ნომერი: | P 2023 299 A |
| პირველი გამოქვეყნების თარიღი: | 2023 09 29 №3 |
| განაცხადის ნომერი: | P 2023 299 |
| განაცხადის წარდგენის თარიღი: | 2023 03 16 |

ბანსაკუთრებული უფლების მფლობელი:

ვაშინგტონის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლაითი 280/286, პულმანი, 99164-1060, ვაშინგტონი (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:
ბრიუს ჰ. ბარიტ (CA)

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:
ვაშლი / Malus domestica

ჯიშის დასახელება: დაბლიუ ეი 38

ჯიშის მოკლე დასახელება

Malus domestica ვაშლის ხის ახალი, გამორჩეული სახეობაა, სახელწოდებით „დაბლიუ ეი 38“, რომელიც ხასიათდება თავისი ინტენსიური, თითქმის სრულყოფილი ფერით და მშობელი ჯიშებისგან განსხვავებული შიდა ინდექსებით, ასევე ხანგრძლივი საერთო შენახვის ვადით.

CATEGORY OF THE APPLICATION: PLANT
NUMBER OF REGISTRATION: P 2024 251 B
DATE OF THE SECOND PUBLICATION: 2024 04 19 №2
DATE OF REGISTRATION: 2024 02 20
NUMBER OF PUBLICATION OF THE APPLICATION: P 2023 299 A
DATE OF THE FIRST PUBLICATION: 2023 09 29 №3
NUMBER OF THE APPLICATION: P 2023 299
DATE OF FILING OF THE APPLICATION: 2023 03 16

TITLE HOLDER:

Washington State University
Lighty 280/286, Pullman, 99164-1060, Washington (US)

PERSON WHO BRED, OR DISCOVERED AND DEVELOPED THE VARIETY:

Bruce H. Barritt (CA)

COMMON NAME AND LATIN NAME OF THE GENUS AND SPECIES:

Apple / *Malus domestica*

VARIETY DENOMINATION: WA 38

BRIEF DESCRIPTION OF THE VARIETY:

A new and distinctive variety of a *Malus domestica* apple tree, named “WA 38” that is distinguished by its intense and nearly full color, internal indices that are different than its parents, and its long common storage life.



ჯიშის აღწერილობა

I. ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:
ვაშლი / Malus domestica

II. განსაკუთრებული უფლების მფლობელი:
ვაშინგტონის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლაითი 280/286, პულმანი, 99164-1060, ვაშინგტონი (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:
ბრიუს ჰ. ბარიტ (CA)

III. ჯიშის დასახელება: დაბლიუ ეი 38

IV. ჯიშის ნიშან-თვისებები:

დეტალური ბოტანიკური აღწერა

წინამდებარე დეტალური აღწერა, გარდა ნაყოფის აღწერისა, არის ორონდოში, დუგლასში, ვოშში გაზრდილი „დაბლიუ ეი 38“-ის თავდაპირველად დამყნობილი ხიდან. ზომების აღების დროს „დაბლიუ ეი 38“-ის ხე იყო 11 წლის. აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) გამძლეობის ზონა 6ბ. ყველა მითითება ფერზე არის სამეფო მეზაღეობის საზოგადოების (R.H.S.) ფერთა პალიტრიდან.

ხე

სახეობა: ტოტებგაშლილი; გამონაზარდის ზომიერად ძლიერი და ნაადრევი განვითარება იწყება ორი წლის ხეზე;

გამძლეობა: ითვლება ზომიერად, მიმდინარე სეზონური ზრდის გათვალისწინებით, რომელიც მერყეობს 26.0 სმ-დან 50.2 სმ-მდე, საშუალოდ 37.0 სმ;

საერთო ფორმა: სწორი და ტოტებგაშლილი;

სიმაღლე: 16 ფუტი;

სიგანე: 14 ფუტი

გამძლეობა: მიიჩნევა გამძლედ იმ რეგიონებისთვის, სადაც იზრდება; USDA გამძლეობის ზონა 6ბ;

პროდუქტიულობა: მიჩნეულია, როგორც მაღალი.

ტანი

ზომა: ნამყენი შეზრდილი ნაწილის დიამეტრი 30 სმ სიმაღლეზე არის 10.3 სმ.

ქერქის სტრუქტურა: მიიჩნევა გლუვად 11 წლის ხისთვის;

ქერქის ფერი: მონაცრისფრო-ნარინჯისფერი (RHS 199A);

ფორები: წარმოდგენილია ზომიერი რაოდენობით, რიცხოვნად საშუალოდ 6 ფორი ყოველ 9 სმ²-ზე; ფორმა წაგრძელებული და ჰორიზონტალურია; საშუალო სიგანე 1.7 მმ-ია, საშუალო სიგრძე კი 10.9 მმ;

ფორების ფერი: ყავისფერი (RHS N200A)

ტოტები

პირველი წლის ტოტები:

დიამეტრი: ზრდის შუა წერტილში მერყეობს 3.7 მმ-დან 5.0 მმ-მდე და საშუალოდ არის 4.5 მმ;

სიგრძე: მიმდინარე სეზონის ზრდა მერყეობს 26.0 სმ-დან 50.2 სმ-მდე, საშუალოდ 37.0 სმ;

ქერქის ფერი: მონაცრისფრო-ნარინჯისფერი (RHS 176A);

ფორები: წარმოდგენილია მრავლად, საშუალოდ 17 ფორი ტოტის 1 სმ-იან დანაყოფზე; ფორმა ძირითადად მრგვალია, მაგრამ გვხვდება ოვალური ფორმისაც; ვერტიკალურია; დიამეტრი მერყეობს 0.4 მმ-დან 0.9 მმ-მდე; ოვალური პარამეტრები მერყეობს 1.4 მმ-დან 1.6 მმ-მდე სიგრძეში და 0.7 მმ სიგანეში; ფერი არის მომწვანო-თეთრი (RHS 157D);

საყრდენი ტოტები:

ზომა: მერყეობს 4.2 სმ-დან 7.9 სმ-მდე დიამეტრით, საშუალოდ 5.9 სმ, რომელიც გაიზომა ტანიდან 10 სმ-ზე;

კუთხე: საშუალოდ ბრტყელიდან თითქმის ბრტყელამდე, რომელიც მერყეობს 75-დან 85 გრადუსამდე ვერტიკალურიდან;

ტოტის ფერი: მონაცრისფრო-ყავისფერი (RHS 199A);

ფორები: მცირე რაოდენობით, საშუალოდ 11 ფორი ყოველ 9 სმ²-ზე; ფორმა და ზომა მერყევია, უმეტესად წაგრძელებული, მცირედი სიმრგვალით; სიგრძე მერყეობს 1.0 მმ-დან 1.7 მმ-მდე; წრიული დიამეტრი მერყეობს 1.0 მმ-დან 1.3 მმ-მდე; ჰორიზონტალური მიმართულების; და ფერი არის მონაცრისფრო-ნარინჯისფერი (RHS 166D).

ფოთლები

ფორმა: მიიჩნევა ფართოდ მრგვალ მხარეს და არის ზევით მოკეცილი;

სტრუქტურა: ზემოთა ზედაპირი არის ტყავისებრი მცირედი ნაოჭებით; ქვემოთა ზედაპირი არის გლუვი მცირედი ნაოჭებით;

სიპრიალე: ზემოთა ზედაპირს აქვს მაღალი სიპრიალის მაჩვენებელი;

ბუსუსები: წარმოდგენილია ქვედა ზედაპირზე 100%-იანი დაფარვით და არის საშუალო სიმძიმის; ქვედა ზედაპირის ბუსუსების ფერი არის მონაცრისფრო-ყვითელი (RHS 160D); თეთრი ბუსუსების (RHS 155E) მსუბუქი დაფარვა მოცემულია ზემოთა ზედაპირის ძარღვების გაყოლებაზე;

სიგრძე: ფოთლის ფირფიტის სიგრძე მერყეობს 7.2 სმ-დან 8.9 სმ-მდე, საშუალოდ 8.1 სმ;

სიგანე: მერყეობს 5.2 სმ-დან 6.3 სმ-მდე, საშუალოდ 5.7 სმ;

კიდე: დაკბილული მცირე ორკბილიანი რეგიონებით;

წვერი: წვეტიანი;

სათავე: მომრგვალებული;

თანაფოთლები: წარმოდგენილია ყუნწების უმრავლესობაზე; წარმოდგენილია 0-დან 2-მდე, უმეტესად 1; ფორმა არის ნემსისებრი; სიგრძე მერყეობს 2.0 მმ-დან 6.3 მმ-მდე, საშუალოდ 4.4 მმ; სიგანე სათავეში მერყეობს 1.0 მმ-დან 1.6 მმ-მდე საშუალოდ 1.3 მმ; ზემოთა და ქვედა ზედაპირების ფერი არის მოყვითალო-მწვანე (RHS 1146D); ბუსუსები წარმოდგენილია როგორც ზემოთა, ისე ქვედა ზედაპირებზე, მიჩნეულია 100%-იანი დაფარვა ორივე ზედაპირზე; ბუსუსების ფერი არის მომწვანო-ყვითელი (RHS 160D);

ფოთლის ფირფიტის ფერი: - ზედა ზედაპირი არის მოყვითალო-მწვანე (RHS 147A); ქვედა ზედაპირი არის მოყვითალო-მწვანე (RHS 147C);

შუა ძარღვი: გამოირჩევა განსაკუთრებული წვრილი ბუსუსებით ძარღვის ზედაპირის ქვედა მხარეს; შუა ფირფიტასთან სიგანე მერყეობს 1.1 მმ-დან 1.6 მმ-მდე საშუალოდ 1.4 მმ; ზედა ზედაპირის ფერი არის (RHS 147A); ქვედა ზედაპირი არის მოყვითალო-მწვანე (RHS 147C); ბუსუსი, რომელიც ფარავს ქვედა ზედაპირის 100%-ს, არის მონაცრისფრო-ყვითელი (RHS 160D);

ყუნწი: სიგრძე მერყეობს 24.5 მმ-დან 35.9 მმ-მდე, საშუალოდ 30.1 მმ; ზედაპირული ღარი გასდევს მთელ ზემოთა ზედაპირს; შუა წერილში დიამეტრი მერყეობს 1.4 მმ-დან 1.9 მმ-მდე, საშუალოდ 1.7 მმ; ზედა ზედაპირის ფერი არის მოყვითალო მწვანე (RHS 145C); ქვედა ზედაპირის ფერი არის მოყვითალო-მწვანე (RHS 145D); ბუსუსები უხვადაა წარმოდგენილი და გასდევს მთელ სიგრძეს და ყუნწის შემოგარენს; ბუსუსების ფერი არის მონაცრისფრო-ყვითელი (RHS 160D);

კვირტები: როგორც წესი, თითო ყოველ გამონაზარდზე; ფორმა მიიჩნევა წვეტიანად, რომლის ძირიც არის წაკვეთილი გამონაზარდთან; დიამეტრი მერყეობს 4.1 მმ-დან 4.9 მმ-მდე, საშუალოდ 4.4 მმ; სიგანე მერყეობს 6.6 მმ-დან 10.2 მმ-მდე, საშუალოდ 8.3 მმ; კვირტის დამცავი ქერქის ფერი არის იასამნისფერი (RHS N77A).

ყვავილები

ყვავილობა დაიწყო 19 აპრილიდან და დასრულდა 6 მაისს, სრული ყვავილობის დღე იყო 1 მაისი ორონდოში, დუგლასი, WA; ყვავილების რაოდენობა ყოველ კვირტზე მერყეობს 4-დან 6-მდე, საშუალოდ 6; სურნელი ვაშლის ყვავილის მსგავსია;

ზომა: მიიჩნევა დიდად, სრულად გაშლისას დიამეტრი მერყეობს 51.6 მმ-დან 57.5 მმ-მდე, საშუალოდ 53.9 მმ;

ყვავილის ფურცელი: სიგანე მერყეობს 18.0 მმ-დან 21.1 მმ-მდე, საშუალოდ 19.2 მმ; სიგრძე მერყეობს 24.4 მმ-დან 27.3 მმ-მდე, საშუალოდ 25.2 მმ; ფორმა არის ელიფსური; ყვავილის ფურცლის ტიპური რაოდენობა არის ხუთი; ყვავილის ფურცლის კიდეები არის გლუვი, ფურცლის როგორც სათავე, ისე წვერი არის მომრგვალებული; ყვავილის ფურცლის ზედაპირი არის ოდნავ გლუვი.

ფერი: როგორც ზედა, ისე ქვედა ზედაპირი არის თეთრი (RHS 155E); გაფურჩქვნამდე გახსნისას ქვედა ზედაპირს აქვს მოწითალო-იასამნისფერი ნაწილები (RHS 64B).

მტვრიანა: რაოდენობა მერყეობს 18-დან 21-მდე, საშუალოდ 21. მტვრიანას ძაფის სიგრძე მერყეობს 5.5 მმ-დან 11.2 მმ-მდე, საშუალოდ 8.5 მმ; მტვრიანას ძაფის ფერი არის თეთრი (RHS 155C); სამტვრეებს აქვთ თირკლმის ფორმა, საშუალო ზომით 1.6 მმ სიგანით X 2.7 მმ სიგრძით; მოწიფული სამტვრის ფერი არის ყვითელი (RHS 10D).

ბუტკო: ტიპურად ხუთი ბუტკო ყოველ ყვავილზე; სიგრძე მერყეობს 14.7 მმ-დან 19.7 მმ-მდე, საშუალოდ 17.2 მმ.

სტილი: რაოდენობით ხუთი, შერწყმული 1/3 მანძილზე ბაზალური ბოლოდან შერწყმულ არემდე, რომელიც დაფარულია თეთრი (RHS 155E) ბუსუსებით; ფერი არის მოყვითალო-მწვანე (RHS 145B).

ბუტკოს დინგი: მომრგვალებული ფორმის, დიამეტრით 0.6-დან 0.7 მმ-მდე; ფერი არის მოყვითალო-მწვანე (RHS 153B).

ჯამის ფოთლები: ხუთი ყოველ ყვავილზე; ფორმა მიიჩნევა თხელ დელტისებურად, რომლის წვერიც არის წვეტიანი და სათავე წაკვეთილი; სიგრძე მერყეობს 13.2 მმ-დან 8.8 მმ-მდე, საშუალოდ 11.9 მმ; სიგანე მერყეობს 3.8 მმ-დან 4.4 მმ-მდე, საშუალოდ 4.1 მმ; თეთრი (RHS 155E) ხშირი ბუსუსი წარმოდგენილია როგორც ზედა, ისე ქვედა ზედაპირებზე; ზემოთა ზედაპირის ფერი არის მოყვითალო-მწვანე (RHS 146C); ქვედა ზედაპირი არის მოყვითალო-მწვანე (RHS 148D); როგორც ზედა, ისე ქვედა წვერის ზედაპირს აქვს მოწითალო-იასამნისფერი (RHS 64B) ნაწილები.

ყვავილის ყუნწი: სიგრძე მერყეობს 16.1 მმ-დან 23.0 მმ-მდე, საშუალოდ 19.5 მმ; ფერი არის მოყვითალო-მწვანე (RHS 146B); შესამჩნევი თეთრი ბუსუსები (RHS 155E) წარმოდგენილია მთლიან ზედაპირზე;

ყვავილის მტვერი: გამოიყოფა ყვითელი ფერის (RHS 10D) საშუალო ოდენობის მტვერი.

ნაყოფი

აღმოსავლეთ ვენაჩიში, დუგლასი, WA გაზრდილი პირველი თაობის ხილის ხის დაკვირვებები და გამოცდა; ნაყოფი არის საშუალოდან მძიმემდე, არსებული კომერციული ჯიშების დიაპაზონის ფარგლებში.

ფორმა: მიიჩნევა მრგვალ-კონუსისებრი ფორმის მქონედ; რეგულარულია, ერთ-გვაროვანია და ამჟღავნებს ასიმეტრიულობას;

ზომა: ითვლება საშუალო ზომის მქონედ მოსავლის ნორმალური დონით; კვადრატული დიამეტრი მერყეობს 80.0 მმ-დან 88.3 მმ-მდე, საშუალოდ 83.9 მმ; ღერძის დიამეტრი მერყეობს 76.4 მმ-დან 85.6 მმ-მდე, საშუალოდ 79.0 მმ; ტიპიური წონა მერყეობს 254 გ-დან 332 გ-მდე, საშუალოდ 281 გ;

ღერო: მიიჩნევა გრძლად და საშუალო სისქის მქონედ; სიგრძე მერყეობს 22.3 მმ-დან 29.5 მმ-მდე, საშუალოდ 25.7 მმ; დიამეტრი მერყეობს 1.8 მმ-დან 2.8 მმ-მდე, საშუალოდ 2.3 მმ; ფერი არის მოყვითალო-მწვანე (RHS 146B);

ღეროს ღრუ: სიგანე მერყეობს 28.3 მმ-დან 36.1 მმ-მდე, საშუალოდ 32.6 მმ; სიღრმე მერყეობს 20.9 მმ-დან 23.9 მმ-მდე, საშუალოდ 22.7 მმ; ზოგჯერ მსუბუქი მოწითალო-ყავისფერი ელფერით ღრუს ქვედა მესამედზე; ღრუს ფორმა არის წამახვილებული; ღეროს ღრუ არ არის ტუჩოსანი;

ჩაზნეკილობა: მკვეთრი; ზედაპირი არის ტალღოვანი; დანაოჭებული თვალის გარშემო; მსუბუქად ღარებიანი; მომწვანო-თეთრი (RHS 157D) ბუსუსები სათავესთან ახლოს; სიგანე მერყეობს 25.9 მმ-დან 31.5 მმ-მდე, საშუალოდ 28.8 მმ; სიღრმე მერყეობს 11.6 მმ-დან 18.4 მმ-მდე, საშუალოდ 13.8 მმ;

თვალი: სწორი კონვერგენტული; ჯამის ფოთლის ფერი არის მოყვითალო-მწვანე (RHS 148C); ჯამის ფოთლები შეიცავენ მომწვანო-თეთრ (RHS 157D) ბუსუსებს;

კანი: სტრუქტურა მიიჩნევა ნაზად; სისქე მიიჩნევა თხლად; გარეგანი სახე მიიჩნევა უფრო დაზოლილად, ვიდრე მარმარილოსებრად მწირი ყვავილობით; ზოლების გასწვრივ კანის ფერი არის მონაცრისფრო-იასამნისფერი (RHS 183B); ზოლების ქვემოთ კანის ფერი არის მონაცრისფრო-იასამნისფერი (RHS 183D); ფერის ქვემოთ კანი არის წითელი (RHS 48A); კანის ფორები არის მრავალი, პატარა, მრგვალი, გლუვი კანთან; კანის ფორები უფრო მეტია ჯამის ბოლოსკენ და საშუალოდ არის 4 ფორი ყოველ სმ²-ზე ღეროს ბოლოსკენ, 11 ფორი ყოველ სმ²-ზე ჯამის ბოლოსთან; არეოლარული ღეროს ბოლოსთან; ფერი არის თეთრი (RHS 155E) და არეოლარული ფერი არის წითლის ჯგუფიდან (RHS 48A); კანის ფორის ზომა მერყეობს 0.2 მმ-დან 0.5 მმ-მდე დიამეტრით არეოლარული დიამეტრი მერყეობს 1.0 მმ-დან 1.5 მმ-მდე;

გული: გულის მდებარეობა მიიჩნევა მედიანურად; გულის ხაზის მდებარეობა არის ბაზალური გადაკვეთა; გულის დიამეტრი მერყეობს 38.7 მმ-დან 46.3 მმ-მდე, საშუალოდ 42.9 მმ; გულის სიგრძე მერყეობს 28.2 მმ-დან 32.8 მმ-მდე, საშუალოდ 30.5; გულის ფორმა არის ბრტყელი კონუსური;

ღრუ (პალატა ან კარპელი): ნაყოფზე ხუთი; ფორმა არის ელიფსური; სიგრძე მერყეობს 17.1 მმ-დან 23.4 მმ-მდე, საშუალოდ 19.6 მმ; სიგანე (ღერძი/კიდე) მერყეობს 10.9 მმ-დან 12.8 მმ-მდე, საშუალოდ 11.6 მმ; სიღრმე (კედელი) მერყეობს 5.7 მმ-დან 7.5 მმ-მდე, საშუალოდ 6.5 მმ;

მილი: კონუსის ფორმის;

მტვრიანას მდებარეობა: მილის დაახლოებით შუაში განთავსებულ მტვრიანებთან (თვალის ქვემოთ მდებარე ღრუ) შედარებით მედიანური;

ღრუს მიმაგრება ღერძზე: ღერძული და ღია, რაც იმას ნიშნავს, რომ ღრუები არის სიმეტრიული და ყოველი ღრუ ღიაა;

თესლი: რაოდენობა მერყეობს 1-დან 3-მდე, საშუალოდ 2; ფორმა არის წაწვეტებული; თესლის სიგრძე მერყეობს 8.3 მმ-დან 9.4 მმ-მდე, საშუალოდ 9.0 მმ; თესლის სიგანე მერყეობს 4.0 მმ-დან 4.7 მმ-მდე, საშუალოდ 4.3 მმ; თესლის ფერი არის ყავისფერი (RHS 200D);

რბილობი: ხრაშუნა, დნობადი, წვნიანი, მცირედ მჟავიანობის შემცველი ვაშლის მსუბუქი გემოთი; ფერი არის მოყვითალო-თეთრი (RHS 158D); რბილობი ყავისფერდება მცირეოდენ ან საერთოდ არა ერთი საათის შემდეგ; ხარისხი არის ძალიან კარგი;

არომატი: ვაშლის მსგავსი და მსუბუქად ინტენსიური;

მოსავლის აღების დრო: როგორც წესი გვიანი სექტემბერი/ადრეული ოქტომბერი, მიმდინარე სეზონის მოსავლის აღების დრო იყო 2 ოქტომბერი;

გენოტიპი: WA 38 არის ჰეტეროზიგოზური (1,2) ACS1-სთვის და ჰომოზიგოზური (2,2) ACO1-სთვის;

ხარისხის შენარჩუნება: შესანიშნავი; ჩვეულებრივ პირობებში შენახვის ვადა არის ხუთ თვემდე; რბილობი ყავისფერდება მცირედით დაკრეფის შემდეგ;

დამტკვერვა

იმავე ყვავილობის სეზონის ნებისმიერი დიპლოიდური ვაშლი.

გამოყენება

დესერტისთვის.

დაავადება და მდგრადობა მწერების მიმართ

შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული დონის მდგრადობა *Venturia inaequalis* (ვაშლის ქეცი) თავისი წინამორბედისგან/მშობლისგან „Enterprise“; სხვა მხრივ მგრძობიარეა ყველა მწერის და დაავადების მიმართ, რომელიც არსებობს ცენტრალური ვაშინგტონის რეგიონში.

ცხრილი 1 წარმოადგენს “WA 38“-ის, “Honeycrisp“-იდა და “Enterprise“-ის სიმწიფის ინდექსებს. ცხრილი 1-ში წნევა არის ნაყოფის სიმკვრივის საზომი, °ბრიქსი არის ნაყოფის სხნადი მყარი შემადგენლობის საზომი და ტიტრულული მჟავიანობა არის ნაყოფის მჟავიანობის საზომი. “Enterprise“-ის მოსავლის ადების თარიღი იყო 23 ოქტომბერი, წელი 15, ხოლო “Honeycrisp“-ის მოსავლის ადების თარიღი იყო 10 სექტემბერი, წელი 15.

ცხრილი 1. სიმწიფის ინდექსები

| სახეობა | ნიმუშის ადების თარიღი | წნევა (ნიუტონები) | °ბრიქსი | pH | ტიტრ. მჟ. (გ /100 მლ) |
|--------------|-----------------------|-------------------|---------|------|-----------------------|
| “WA 38” | 5 ოქტ., წელი 15 | 17.3 | 13.7 | 3.44 | 0.62 |
| “Honeycrisp” | 10 სექტ., წელი 15 | 14.5 | 11.1 | 3.30 | 0.52 |
| “Enterprise” | 10 ოქტ., წელი 15 | 19.3 | 15.7 | 3.52 | 1.09 |
| “WA 38” | 21 დეკ., წელი 15 | 16.7 | 13.8 | 3.58 | 0.51 |
| “Honeycrisp” | 5 ოქტ., წელი 15 | 15.2 | 14.3 | 4.02 | 0.30 |



გამოსახულება 1




გამოსახლება 2



გამოსახლება 3



გამოსახლება 4



გამოსახლება 5



გამოსახულება 6



გამოსახულება 7




გამოსახულება 8



გამოსახულება 9



გამოსახულება 10



გამოსახულება 11



გამოსახულება 12

| | |
|----------------------------------|---------------|
| ჯიშის კატეგორია: | მცენარე |
| რეგისტრაციის ნომერი: | P 2024 252 B |
| მეორე გამოქვეყნების თარიღი: | 2024 04 19 №2 |
| რეგისტრაციის თარიღი: | 2024 02 21 |
| განაცხადის გამოქვეყნების ნომერი: | P 2023 286 A |
| პირველი გამოქვეყნების თარიღი: | 2013 11 09 №4 |
| განაცხადის ნომერი: | P 2022 286 |
| განაცხადის წარდგენის თარიღი: | 2022 03 10 |

განსაკუთრებული უფლების მფლობელი:
ფლორიდა ფაუნდეიშენ სიდ პროდიუსერს, ინკ.
3913 ჰაივეი 71, მარიანა, ფლორიდა, 32446 (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:
ვენს მ. ვიტკერი (US)

ჯიშის ბგარტი და სახეობა ძართულად და ლათინურად:
მარწყვი / *Fragaria × ananassa* Duchesne

ჯიშის დასახელება: FL 13 26 134

ჯიშის მოკლე დახასიათება

მარწყვის (*Fragaria × ananassa*) ახალი და განსხვავებული ჯიში წარმოიშვა „FL 11.31-14“-ს და „FL 10-153“-ს შეჯვარების შედეგად, ხელით დამტვერვით მიღებული თესლიდან. ახალი მარწყვი, სახელწოდებით „FL 13 26 134“ მისი მოყვანისას დასავლეთ-ცენტრალურ ფლორიდაში ან სხვა მსგავსი კლიმატის მქონე რეგიონებში, შეიძლება განსხვავებულ იქნეს სულ მცირე, ადრეული და საერთო მოსავლიანობის მაღალი მაჩვენებლით; ნაყოფის განსაკუთრებული ფორმით, სიმტკიცით და ბალანსირებული გემოთი.

CATEGORY OF THE APPLICATION: PLANT
NUMBER OF REGISTRATION: P 2024 252 B
DATE OF THE SECOND PUBLICATION: 2024 04 19 №2
DATE OF REGISTRATION: 2024 02 21
NUMBER OF PUBLICATION OF THE APPLICATION: P 2023 286 A
DATE OF THE FIRST PUBLICATION: 2013 11 09 №4
NUMBER OF THE APPLICATION: P 2022 286
DATE OF FILING OF THE APPLICATION: 2022 03 10

TITLE HOLDER:

Florida Foundation Seed Producers, Inc.
3913 Highway 71, Marianna, Florida, 32446 (US)

PERSON WHO BRED, OR DISCOVERED AND DEVELOPED THE VARIETY:

Vance M. Whitaker (US)

COMMON NAME AND LATIN NAME OF THE GENUS AND SPECIES:

Strawberry / *Fragaria × ananassa* Duchesne

VARIETY DENOMINATION: FL 13 26 134

BRIEF DESCRIPTION OF THE VARIETY:

A new and distinct variety of strawberry (*Fragaria × ananassa*), which originated from seed produced by a hand-pollinated cross between “FL 11.31-14” and “FL 10-153”. The new strawberry, named “FL 13 26 134”, can be distinguished at least by its high early and total yields; exceptional fruit shape and firmness; and balanced flavor when grown in West Central Florida or other regions that have a climate similar to that of West Central Florida.



ჯიშის აღწერილობა

I. ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

მარწყვი / *Fragaria X ananassa* Duchesne

II. განსაკუთრებული უფლების მფლობელი:

ფლორიდა ფაუნდეიშენ სიდ პროდიუსერს, ინკ.
3913 ჰაივეი 71, მარიანა, ფლორიდა, 32446 (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

ვენს მ. ვიტკერი (US)

III. ჯიშის დასახელება: FL 13 26 134

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანაზე და გამრავლებაზე, ჯიშის ნიშან-თვისებები და დეტალური ბოტანიკური აღწერა:

| | | |
|-----|---|--|
| 1. | ანგარიშგების ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი | 90010 |
| 2. | მომთხოვნი ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომერი | 2018/1898 |
| 3. | სელექციონერის მითითება | fl 13.26-134 |
| 4. | აპლიკანტი (სახელი და მისამართი) | Florida Foundation Seed Producers Inc (FFSP Marianna Office) 3913 Highway 71. US -Marianna, FL 32446. USA |
| 5. | ტაქსონის ბოტანიკური სახელწოდება | <i>Fragaria x ananassa</i> Duch. |
| 6. | ტაქსონის საერთო სახელწოდება | მარწყვი |
| 7. | ჯიშის დასახელება | |
| 8. | გამოცდის დოკუმენტის თარიღი და/ან ნომერი გაიდლაინები/ტექნიკური პროტოკოლი | CPVO-TP/022/3 Final 29/11/2013 |
| 9. | ტესტირების ორგანო | DGAV-DVS |
| 10. | ტესტირების სადგურ(ებ)ი და ადგილ(ებ)ი | NECE-ESCAROUPIM |
| 11. | ტესტირების პერიოდი | 2019-2020 წწ |
| 12. | დოკუმენტის გაცემის თარიღი და ადგილი | ლისაბონი, 22-09-2020 |
| 13. | ჯგუფი: (თუ დაჯგუფებისთვის გამოიყენება ნომრის 14 მახასიათებლები, მათი აღნიშვნა ხდება სიმბოლოთი G ამ ნომერზე) | |
| 14. | მახასიათებლები, რომლებიც ჩართულია ტესტირების გაიდლაინებში UPOV ან ტესტირების ეროვნულ გაიდლაინებში | |

| CPVO № | მახასიათებლები | გამოხატვის ხარისხი | ჩანაწერი შენიშვნები |
|--------|---|----------------------------------|------------------------|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 G | მცენარე: ზრდის ხასიათი | სწორმდგომი | 1 |
| 2 | მცენარე: შეფოთვლის სიხშირე | საშუალო | 5 |
| 3 | მცენარე: სიმძლავრე | საშუალო | 5 |
| 4 | მცენარე: ყვავილედის განლაგება ფოთლეულთან მიმართებაში | ზევით | 3 |
| 5 | მცენარე: სტოლონების რაოდენობა | საშუალო | 5 |
| 6 | სტოლონი: ანთოციანური შეფერვა | ძლიერი | 7 |
| 7 | სტოლონი: ბუსუსების სიხშირე | საშუალო | 2 |
| 8 | ფოთოლი: ზომა | საშუალო | 5 |
| 9 | ფოთოლი: ზედა მხრის ფერი | საშუალო მწვანე | 3 |
| 10 | დაბუშტვა | არ აღინიშნება ან სუსტია | 1 |
| 11 | ფოთოლი: სიპრიალე | ძლიერი | 3 |
| 12 | ფოთოლი: ჭრელფოთლიანობა | არ აღინიშნება | 1 |
| 13 | ბოლო ფოთოლაკი: სიგრძე სიგანესთან მიმართებაში | ზომიერად გრძელი | 3 |
| 14 | ბოლო ფოთოლაკი: ფუძის ფორმა | მახვილი | 1 |
| 15 | ბოლო ფოთოლაკი: კიდე | მრგვალებილა | 3 |
| 16 | ბოლო ფოთოლაკი: განივი ჭრილის ფორმა | სწორი | 2 |
| 17 | ფოთლის ყუნწი: სიგრძე | საშუალოდან გრძელა- მდე | 4 |
| 18 | ფოთლის ყუნწი: შებუსვის პოზიცია | ჰორიზონტალური | 3 |
| 19 | თანაფოთოლი: ანთოციანური შეფერვა | არ აღინიშნება ან მეტად სუსტია | 1 |
| 20 | ყვავილობა: ყვავილების რაოდენობა | ბევრი | 7 |
| 21 | ყვავილის ყუნწი: შებუსვა | ოდნავ გარეთ მიმართული | 2 |
| 22 | ყვავილი: დიამეტრი | დიდი | 7 |
| 23 | ყვავილი: გვირგვინის ფურცლების განლაგება | გადაფარული | 3 |
| 24 | ყვავილი: ჯამის ზომა გვირგვინთან მიმართებაში | უფრო დიდი | 3 |
| 25 | ყვავილი: მტვრიანა | არის | 9 |
| 26 | გვირგვინის ფურცლები: სიგრძე სიგანესთან მიმართებაში | ზომიერად მოკლემდე | 2 |
| 27 G | გვირგვინის ფურცლები: ზედა მხრის ფერი | თეთრი | 2 |
| 28 | ნაყოფი: სიგრძე-სიგანესთან მიმართებაში | ზომიერად გრძელი | 4 |
| 29 G | ნაყოფი: ზომა | მეტად დიდი | 9 |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|------|---|---------------------------------------|---|
| 30 G | ნაყოფი: ფორმა | კონუსური | 2 |
| 31 | ნაყოფი: ბოლო ნაყოფსა და სხვა ნაყოფებს შორის განსხვავება ფორმაში | უმნიშვნელო | 3 |
| 32 G | ნაყოფი: ფერი | საშუალო სიწითლის | 5 |
| 33 | ნაყოფი: ფერის ერთგვაროვნება | ერთგვაროვანი ან ოდნავ არაერთგვაროვანი | 1 |
| 34 | ნაყოფი: სიპრიალე | საშუალო | 2 |
| 35 | ნაყოფი: ზედაპირის ერთგვაროვნება | ერთგვაროვანი ან ოდნავ არაერთგვაროვანი | 1 |
| 36 | ნაყოფი: ზოლის სიგანე თესლურების გარეშე | არ აღინიშნება ან მეტად ვიწროა | 1 |
| 37 | ნაყოფი: თესლურების განლაგება | ზედაპირის ქვეშ | 1 |
| 38 | ნაყოფი: ჯამის მიმაგრების განლაგება | ნაყოფის დონეზე | 2 |
| 39 | ნაყოფი: ჯამის ფოთლების განლაგება | ზევით მიმართული | 1 |
| 40 | ნაყოფი: ჯამის დიამეტრი ნაყოფის დიამეტრთან მიმართებაში | იგივე ზომის | 3 |
| 41 | ნაყოფი: ჯამის მჭიდრო მიერთება | საშუალო | 5 |
| 42 | ნაყოფი: სიმკვრივე | მკვრივი | 7 |
| 43 | ნაყოფი: რბილობის ფერი (გულის გარეშე) | ნარინჯისფერ წითელი | 3 |
| 44 | ნაყოფი: გულის ფერი | ღია წითელი | 2 |
| 45 | ნაყოფი: სიღრუე | არ აღინიშნება ან მცირეა | 1 |
| 46 | ყვავილობის დაწყების დრო | ძალზედ ნაადრევი | 1 |
| 47 | ნაყოფის მომწიფების დაწყების დრო | ძალზედ ნაადრევი | 1 |
| 48 G | მსხმოიარობის ტიპი | ნაწილობრივ რემონტანტური | 2 |

15. მსგავსი ჯიშები და განსხვავებები ამ ჯიშებისგან

| მსგავსი ჯიშების დასახელება | მახასიათებლები, რომლითაც განსხვავდება მსგავსი ჯიშები | მსგავსი ჯიშების გამოხატვის ხარისხი | კანდიდატი ჯიშების გამოხატვის ხარისხი |
|----------------------------|--|------------------------------------|--------------------------------------|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| ვენტანა | 6 სტოლონი: ანტოციანური შეფერვა | 9 | 7 |
| | 11 ფოთოლი: პრიალა | 5 | 3 |
| | 28 ნაყოფი: სიგრძე-სიგანესთან მიმართებაში | 5 | 4 |
| დრისკოლ ელდორდო | 6 სტოლონი: ანტოციანური შეფერვა | 5 | 7 |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| | 10 ფოთოლი: დაბუმტვა | 3 | 1 |
| | 19 თანაფოთოლი: ანთოციანური შეფერვა | 3 | 1 |
| | 28 ნაყოფი: სიგრძე-სიგანესთან მიმართებაში | 3 | 4 |
| | 32 G ნაყოფი: ფერი | 4 | 5 |

16. დამატებითი ინფორმაცია:

a) დამატებითი მონაცემები:

შენიშვნები:

| მახასიათებლები | ექსპრესიის ხარისხი | შენიშვნების აღნიშვნა |
|------------------------------------|--------------------|----------------------|
| თანაყვავილის ფოთოლაკი: არსებობა | არის | 9 |
| თანაყვავილის ფოთოლაკი: ზომა | საშუალო | 5 |
| ფოთოლაკი: რაოდენობა | სამი | |

17. დამატებითი შენიშვნები



გამოსახლება 1



გამოსახლება 2



გამოსახლება 3



გამოსახლება 4



გამოსახლება 5



გამოსახლება 6



გამოსახულება 7

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის
ოფიციალური ბიულეტენი

OFFICIAL BULLETIN FOR THE PROTECTION OF NEW VARIETIES OF PLANTS
AND BREEDS OF ANIMALS

№ 2(77)

ბიულეტენის ელექტრონული ვერსიის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ვებგვერდზე.

Electronic version of the bulletin is available on the website of the National Intellectual Property Center of Georgia “Sakpatenti”.

ქართული თარგმანის სიზუსტეზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.
Accuracy of the Georgian translation is the responsibility of the applicant.

| | |
|---|---|
| მთავარი რედაქტორი: EDITOR-IN-CHIEF: | ნ. ბებრიშვილი N. Bebrishvili |
| ჟორნალის რედაქტორი: PROOFREADER: | მ. სოსელია M. Soselia |
| დამაბადონებელი: COMPUTER LAYOUT: | ქ. სვანიძე K. Svanidze |
| პოლიგრაფიული ჯგუფი: POLYGRAPHIC GROUP: | მ. მეჩიტაშვილი M. Mechitishvili ლ. დოლიძე L. Dolidze |

ISSN 2720-8494

ხელმოწერილია გამოსაცემად: 2024 04 18
Signed for Publication on:

ტირაჟი: 10
Print Run:

შეკვეთა №2
Order